



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №25  
ოქტომბერი, 2021

თბილისი, 2021

**ხელმძღვანელი:**

ვახუშტი მენაბდე

**ავტორები:**

ნანუკა ყრუაშვილი  
თათია მიქელაძე (XI თავი)

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №25 ბიულეტენს, სადაც აღწერილია ოქტომბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

## I. მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება და მისი დაკავება

1-ლ ოქტომბერს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის სოციალურ ქსელში ბათუმში გადაღებული ვიდეო გამოაქვეყნა.<sup>1</sup> მისი სამშობლოში ყოფნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმაც დაადასტურეს.<sup>2</sup> ამის მიუხედავად, შსს ირწმუნებოდა, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება სიმართლეს არ შეესაბამებოდა.<sup>3</sup> ვიდეოში ყოფილმა პრეზიდენტმა მოსახლეობას, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომდევნო დღეს, 3 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდა.<sup>4</sup> სააკაშვილის მიერ საზღვრის გადმოკვეთა უარყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.<sup>5</sup> მისი თქმით, არსებობდა „უტყუარი ინფორმაცია“, რომ ის უკრაინაში იმყოფებოდა.<sup>6</sup> ანალოგიურად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მტკიცებით, მესამე პრეზიდენტი სამშობლოში არ დაბრუნებულა და არც ვიდეო იყო საქართველოში ჩანერილი.<sup>7</sup> პარტია „დროას“ თავმჯდომარემ ელენე ხომტარიაშვილმა აღნიშნა, რომ მას სააკაშვილის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდა, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ფაქტს არეულობა არ უნდა გამოეწვიოს.<sup>8</sup> გარდა ამისა, მისი

<sup>1</sup> მიხეილ სააკაშვილის „Facebook“ გვერდი, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=390642109224051>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>2</sup> „ეკა ხერხეულიძე სააკაშვილის საქართველოში შემოსვლაზე: ეს „ქართული ოცნების“ თავსატეხია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31487373.html>, განახლებულია: 15.11.2021; „თინა ბოკუჩავა - სააკაშვილი უბრალოდ ასრულებს საკუთარ სიტყვას“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676618>, განახლებულია: 15.11.2021; „ზაალ უდუმაშვილი - როგორ შემოვიდა და როდის ჩამოვიდა საქართველოში, ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ის, რომ სააკაშვილი საქართველოშია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676634>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>3</sup> „მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოში ჩამოვიდა, შსს ინფორმაციას უარყოფს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/444411>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>4</sup> მიხეილ სააკაშვილის „Facebook“ გვერდი, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=152343097033172>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>5</sup> „მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოში ჩამოვიდა, შსს ინფორმაციას უარყოფს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> „კობახიძე: სააკაშვილი საქართველოში არ არის“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/57478>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>8</sup> „ელენე ხომტარიაშვილი - არ მაქვს ინფორმაცია, სააკაშვილი აქ არის თუ არა - ყველაფერი უნდა იყოს აბსოლუტურად მშვიდობიანად ნებისმიერი სცენარის შემთხვევაში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676625>, განახლებულია: 15.11.2021.

განცხადებით, „ზიზლისა და არეულობის გზავნილების“ ავტორი მხოლოდ „ქართული ოცნება“ იყო.<sup>9</sup> „გირჩის“ ლიდერის იაგო ხვიჩიას მოსაზრებით, სააკაშვილმა მმართველ პარტიასთან შეთანხმებით გამოაქვეყნა უხარისხო და ყალბი ვიდეო და ამ ნაბიჯით ის ოპოზიციის ამომრჩევლის წინააღმდეგ „ქართულ ოცნებას“ დაეხმარა.<sup>10</sup> მსგავსი განცხადება გააკეთა პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ.<sup>11</sup> მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტის ჩამოსვლა არა მხოლოდ მის ამომრჩევლებს, არამედ მმართველი პარტიის მხარდამჭერებსაც აგულიანებდა.<sup>12</sup>

1-ლ ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილი სამართალდამცავებმა თბილისში დააკავეს და ის რუსთავის №12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს.<sup>13</sup> ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.<sup>14</sup> მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ იცოდა ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში ყოფნის თაობაზე, თუმცა ოპერაციის შეუფერხებლად ჩასატარებლად დაკავებისთვის შესაბამისი დრო შეარჩიეს.<sup>15</sup>

ყოფილი პრეზიდენტის დაკავების ოპერაციის წარმატებით ჩატარება პრემიერ-მინისტრს მიულოცა ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, ეს იყო იმ საქმის „დაგვირგვინება“, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა 10 წლის წინ დაიწყო.<sup>16</sup> მამუკა მდინარაძემ 1-ლ ოქტომბერს გაკეთებული განცხადებისთვის, სადაც სააკაშვილის საქართველოში ყოფნას უარყოფდა, საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.<sup>17</sup> მან განმარტა, რომ ეს განპირობებული იყო ქართველი სამართალდამცავების მიერ დაგეგმილი გასაიდუმლოებული სპეცოპერაციით, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.<sup>18</sup>

საკაშვილის დაკავების შემდგომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ის არასდროს შეინყალებდა ქვეყნის მესამე პრეზიდენტს.<sup>19</sup> მან ასევე აღნიშნა, რომ სააკაშვილი საქართველოში საერთაშორისო რჩევებისა და გაფრთხილებების მიუხედავად ჩამოვიდა და მას ბრალი დასდო 2 ოქტომბრის არჩევნებზე დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობაში.<sup>20</sup> ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილს 2018 წელს სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სანდრო გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულთა შეწყალებისა და ვალერი გელაშვილის ცემის საქმეში დამნაშავედ ცნობის შედეგად.<sup>21</sup>

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> „ანა დოლიძე - ამ უნიათო ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა „წინას ბაღად“ გადააქცია - სააკაშვილის და ივანიშვილის ჩრდილმა არ უნდა შეგვაშინოს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676730>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> „რა ვიცი თუ მიხეილ სააკაშვილის დაკავების დეტალებზე ამ მომენტისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>14</sup> „პრემიერი: მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/444853>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> „ირაკლი ლარიბაშვილი - კარგად გვესმის, რომ სააკაშვილი დამნაშავეა და კრიმინალი, იგი სამარცხვინოდ არაერთგზის მოიქცა, მაგრამ თუნდაც ამ სამარცხვინო კაცს ისე მოვექცით, როგორც ჩვენი ხალხი და კულტურა იმსახურებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676758>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>17</sup> „მამუკა მდინარაძე „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებების გამო, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფებოდა, საზოგადოებას ბოდიშს უხდის“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676869>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> „ზურაბიშვილის თქმით, სააკაშვილს „არასდროს შეინყალებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/444977>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> „სასამართლომ სააკაშვილი დამნაშავედ ცნო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულთა შეწყალების საქმეზე“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2018 წლის 5 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/219224>, განახლებულია: 15.11.2021; „სააპელაციო სასამართლომ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2018 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/267176>, განახლებულია: 15.11.2021.

სააკაშვილის დაკავების შესახებ განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელმაც მმართველ პარტიას პატიმრის მიმართ „სამართლიანი მოპყრობისკენ“ მოუწოდა.<sup>22</sup> სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, ნედ პრაისმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით აკვირდებოდა სააკაშვილის საქმეს და განვითარებულ მოვლენებს.<sup>23</sup>

3 ოქტომბერს უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩაერთვებოდა უკრაინის მოქალაქის მიხეილ სააკაშვილის კიევი დაბრუნების პროცესში.<sup>24</sup> მან ასევე მიუთითა, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არასწორი იყო, ვინაიდან მას უკრაინაში სახელმწიფო თანამდებობა ჰქონდა დაკავებული.<sup>25</sup>

სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონოდ კვეთის საქმეზე სამართალდამცავებმა გამოძიება დაიწყეს, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე პირი დააკავეს.<sup>26</sup> დაკავებულმა პირებმა ქვეყნის შიგნით მიხეილ სააკაშვილი სავარაუდოდ ტრანსპორტით და საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყვეს.<sup>27</sup> ყოფილ პრეზიდენტს ბრალი რამდენიმე სხვა საქმეზეც აქვს წაყენებული. მას ბრალად ედება საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა, 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციის დარბევა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა.<sup>28</sup>

1-ლ ოქტომბერს საპატიმროში მიხეილ სააკაშვილი სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ მოინახულა.<sup>29</sup> შეხვედრის შემდეგ მან აღნიშნა, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა წაყენებული ბრალი უარყო, თავი პოლიტპატიმრად მიიჩნია და შიმშილობა გამოაცხადა.<sup>30</sup>

4 ოქტომბერს სააკაშვილს „მთავარი არხის“ დირექტორი ნიკა გვარამია ესტუმრა.<sup>31</sup> ვიზიტის შემდეგ მან პრეზიდენტის მიერ დაწერილი წერილი საზოგადოებას გააცნო.<sup>32</sup> სააკაშვილის განცხადებით, ის შიმშილობას განაგრძობდა მანამ, სანამ მას და მის გამო დაკავებულ პირებს არ გაათავისუფლებდნენ.<sup>33</sup> ამასთან, მან უარი განაცხადა ნებისმიერ სამედიცინო დახმარებაზე, უგონოდ ყოფნის შემთხვევაშიც.<sup>34</sup>

პრემიერ-მინისტრმა ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზებზე ისაუბრა.<sup>35</sup> მისი აზრით, სააკაშვილს ხელისუფლების გადატრიალების იმედი ამოძრავებდა.<sup>36</sup> ირაკლი ლარიბაშვილმა მას და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რევოლუციურ განზრახვას წარუმატებელი უწოდა

<sup>22</sup> „Department Press Briefing – October 4, 2021“, US Department of State, 4 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/briefings/department>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> „Ukraine always returns its citizens, including Saakashvili - Volodymyr Zelenskyy“, President of Ukraine, 3 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ua/en/news>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> „მიხეილ სააკაშვილის საქმის ახალი დეტალები“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/446112>, განახლებულია: 15.11.2021; „მიხეილ სააკაშვილის საქმე: შსს-მ კიდევ ერთი პირი დააკავა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/449015>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> „საქართველოს პროკურატურის განცხადება“, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://pog.gov.ge/news/https>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>29</sup> „სახალხო დამცველი - როგორც სააკაშვილი აცხადებს, დაკავების დროს მარტო იყო, ძალა არ ყოფილა გამოყენებული - არ ეთანხმება მსჯავრს და თავს მიიჩნევს პოლიტიკურ პატიმრად“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676797>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> „მიხეილ სააკაშვილი - შიმშილობა იქნება ჩემი სიცოცხლის დასრულებამდე - წინასწარვე უარი განვაცხადე უგონოდ ყოფნის შემთხვევაში სამედიცინო ჩარევაზე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677368>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> „პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 6 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/446526>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>36</sup> იქვე.



და აღნიშნა, რომ ოპოზიციური პარტია „კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ხელმოცარული ადამიანების ჯგუფი“ იყო.<sup>37</sup> გარდა ამისა, პრემიერი სააკაშვილს დაემუქრა, რომ ბრალს სხვა მუხლებითაც წაუყენებდა, თუ ის „ნესიერად“ არ მოიქცეოდა.<sup>38</sup>

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრის ხათუნა სამნიძის აზრით, პრემიერის თითოეული განცხადება მოწმობდა, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარი იყო.<sup>39</sup> მისი თქმით, მდგომარეობის განმუხტვის ნაცვლად, მაშინ, როდესაც პატიმარი შიმშილობდა, მმართველი პარტია სიძულვილისა და ზიზღის შემცველ განცხადებებს აკეთებდა.<sup>40</sup> მსგავსი კომენტარი გააკეთა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.<sup>41</sup> მან აღნიშნა, რომ ღარიბაშვილის მუქარა მუხლების დამატებასთან დაკავშირებით სააკაშვილის პოლიტპატიმრის სტატუსზე მიუთითებდა.<sup>42</sup>

10 ოქტომბერს ყოფილი პრეზიდენტის მხარდასაჭერი აქცია რუსთაველის გამზირზე გამართა „სახალხო მოძრაობამ“.<sup>43</sup> მისი ხელმძღვანელის, დეპუტატი თაკო ჩარკვიანის თქმით, ეს იყო ხელისუფლებისთვის გამაფრთხილებელი აქცია<sup>44</sup> და რუსეთის მიერ დევნილი მესამე პრეზიდენტი არ უნდა გაესამართლებინა „რუსეთზე მომუშავე ხელისუფლებას“.<sup>45</sup> ამავე დღეს მესამე პრეზიდენტის პირადი ექიმის განცხადებით, მისი ჯანმრთელობა გაუარესდა,<sup>46</sup> თუმცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიხედვით, სააკაშვილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.<sup>47</sup> 14 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზაალ უდუმაშვილმა აღნიშნა, რომ 14-დღიანი შიმშილის შემდეგ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დიდი საფრთხე არსებობდა.<sup>48</sup>

18 ოქტომბერს 70-მდე ევროპელმა პოლიტიკოსმა ხელი მოაწერა ღია წერილს, სადაც ისინი მიხეილ სააკაშვილის პატიმრობას პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების იარაღად აფასებდნენ.<sup>49</sup> მათი თქმით, ყოფილი პრეზიდენტის პატიმრობა უნდა შეწყვეტილიყო „მანამ, სანამ ის არ წარდგებოდა სამართლიანი სასამართლო პროცესის წინაშე, მისთვის წაყენებული ნებისმიერი ბრალდებისთვის“.<sup>50</sup> ამ წერილის პასუხად, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა რამდენი ევროპარლამენტარი მოითხოვდა სააკაშვილის გათავისუფლებას, ვინაიდან

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> „პრემიერი მიხეილ სააკაშვილზე: ნესიერად მოიქცეს, თორემ დავუმატებთ კიდევ სხვამუხლებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/445971>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>39</sup> „ხათუნა სამნიძე - პრემიერის მიერ გაუღერებული და დანერგული თითოეული სიტყვა მოწმობს, რომ სააკაშვილი პოლიტიკური დევნის ობიექტია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677754>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> „ნინო ბურჯანაძე - ღარიბაშვილი თავად ამბობს, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია!“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 6 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677661>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> „სახალხო მოძრაობა“ რუსთაველის გამზირზე მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერ აქციას მართავს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/678206>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> „საკაშვილის პირადი ექიმი - მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა გაუარესდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/678218>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>47</sup> „სპეციალური პენიტენციური სამსახური - მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისათვის დამაკმაყოფილებელია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/678219>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>48</sup> „ზაალ უდუმაშვილი - სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების სერიოზული საფრთხეა, ორგანიზმი რკინის არ არის, 14-დღიანი შიმშილობა კვალს დაამჩნევს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/678760>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>49</sup> „ევროპარლამენტარები: სააკაშვილის პატიმრობა უნდა შეწყდეს სამართლიან სასამართლო პროცესამდე“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/58366>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>50</sup> იქვე.

სამართლის აღსრულებას წინ ვერავინ აღუდგებოდა.<sup>51</sup>

19 ოქტომბერს ერთობლივი განცხადებით, ევროპარლამენტარების ჯგუფმა მოითხოვა მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვამდე.<sup>52</sup> მათი აზრით, ყოფილი პრეზიდენტისა და ოპოზიციის ლიდერის ციხეში ყოფნა პროცესის პოლიტიკურად მოტივირებულობის შესახებ აჩენდა ეჭვებს.<sup>53</sup> ამ წერილის პასუხად, პრემიერმა მიუთითა, რომ მისთვის და ქვეყნისთვის ევროპარლამენტარები არაფერს წარმოადგენდნენ.<sup>54</sup> მისი თქმით, ევროპული პარლამენტის დეპუტატების მითითებებით სახელმწიფოს ვერ მართავდნენ და დაამატა, რომ „ყველას თავისი ქვეყნისთვის უნდა მიეხედა“.<sup>55</sup>

4 და 24 ოქტომბერს რუსთავის ციხესთან სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები გაიმართა.<sup>56</sup> მონაწილეები ყოფილი პრეზიდენტის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვებას ითხოვდნენ.<sup>57</sup> ნიკა მელიამ საპროტესტო აქციაზე არჩევნების მეორე ტურის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სააკაშვილის გათავისუფლებასთან.<sup>58</sup>

ირაკლი ღარიბაშვილმა მესამე პრეზიდენტის შიმშილობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ კანონით მას ჰქონდა თვითმკვლელობის უფლება და ამაზე სახელმწიფო პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა.<sup>59</sup> გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში სააკაშვილს სამკურნალოდ გლდანის ციხეში გადაიყვანდნენ.<sup>60</sup> პრემიერის განცხადება გააკრიტიკეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა. „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანა ნაცვლიშვილმა მას „სახელმწიფოებრივად საშიში სირეგვნე“ უწოდა.<sup>61</sup> „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის გიგა ბოკერიას აზრით, პრემიერის განცხადება სამართლებრივი აბსურდი და ძალაუფლების შენარჩუნების „სასონარკვეთილი“ მცდელობა იყო.<sup>62</sup>

<sup>51</sup> „პრემიერი სააკაშვილზე განცხადების გამო ევროპარლამენტარებს აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/448831>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>52</sup> ხელს აწერენ ანდრიუს კუბილიუსი, Euronest-ის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარე; რასა იუკნევიჩიჩი, სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების დელეგაციის (DSCA) ხელმძღვანელი, რიპო ტერასი, მირიამ ლექსმანი და სანდრა კალნიეტე. იხ. „Statement on the rule of law situation in Georgia“, Frakcija Europskega Parlamenta, 19 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://elpnariai.lt/en/statement>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> „ევროპარლამენტარები სააკაშვილის პატიმრობის „პოლიტიკურ ხასიათზე“ საუბრობენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 21 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/449358>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> „რუსთავის ციხესთან მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680237>, განახლებულია: 15.11.2021; „ნიკა მელია - ბრძოლა გრძელდება ბოლომდე, გამარჯვება ძალიან მალე დადგება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677330>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>57</sup> „რუსთავის ციხესთან მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680237>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>58</sup> „ნიკა მელია - რატომ დადის გაცეცხლებული ღარიბაშვილი ქალაქიდან ქალაქში და რატომ გვწყველის დანარჩენ საქართველოს? - გამარჯვებას ვერანაირი ხრიკებით ვერ მოიპოვებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680243>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>59</sup> „პრემიერი - კანონში წერია, რომ ადამიანს აქვს თვითმკვლელობის უფლება, თუ ადამიანი გადაწყვეტს, რომ თავი უნდა მოიკლას, შეუძლია მოიკლას, ამაზე სახელმწიფო ვერ აიღებს პასუხისმგებლობას“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680951>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> „ანა ნაცვლიშვილი - ღარიბაშვილის განცხადება საშიში სირეგვნეა, პრემიერმა, რომელიც სულ რელიგიის დამცველის როლის მორგებას ცდილობს, პირდაპირ წახალისა და მოწოდება გააკეთა თვითმკვლელობისკენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680969>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>62</sup> „გიგა ბოკერია - როცა პრემიერი ასე საუბრობს პოლიტიკურ ოპონენტზე, ეს დემონსტრირებაა, რომ ეს ხელისუფლება საფრთხეა არა მხოლოდ სააკაშვილისთვის ან სხვა ოპოზიციური პარტიისთვის, არამედ ყველასთვის“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680972>, განახლებულია: 15.11.2021.

მსგავსი განცხადება გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ხატია დეკანოიძემაც და ღარიბაშვილის სიტყვები სიცოცხლის უფლების შეზღუდვად დაახასიათა.<sup>63</sup> საპასუხოდ, პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა, ვინაიდან ის გულისხმობდა, რომ შიმშილობის დეფინიცია კანონმდებლობით იყო განსაზღვრული.<sup>64</sup>

მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო მრავალპროფილურ საავადმყოფოში გადაყვანა მისმა ადვოკატებმა და პირადმა ექიმმა მოითხოვეს.<sup>65</sup> ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი პრეზიდენტი არ იყო პრივილეგირებული პირი და, ამრიგად, მას საჭიროების შემთხვევაში ციხის საავადმყოფოში უმკურნალებდნენ.<sup>66</sup> სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზისთვის შეიქმნა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფი,<sup>67</sup> რომლის 13 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, ყოფილი პრეზიდენტის მკურნალობა უნდა გაგრძელებულიყო მრავალპროფილურ კლინიკაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მაგნიტორეზონანსული კვლევის, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და დუბლექს სკანირების გაკეთება.<sup>68</sup> სახალხო დამცველის აპარატმა გლდანის №18 ციხის სამკურნალო დანესებულების მზადყოფნის ხარისხის შემოწმების შემდგომ აღნიშნა, რომ იქ იმ პროცედურების ჩატარება, რისი რეკომენდაციაც ექიმთა მულტიფუნქციურმა ჯგუფმა გასცა, შეუძლებელი იქნებოდა.<sup>69</sup> გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, პატიმრის განთავსება იმ შენობაში, რომელიც ემიჯნებოდა №8 პენიტენციურ დანესებულებას, შეიცავდა უსაფრთხოების რისკებს.<sup>70</sup>

ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანისკენ მოუწოდა ევროპის სახალხო პარტიამ და ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ჯგუფმა.<sup>71</sup> მათ შემოთავაზებდა გამოხატეს არსებული სიტუაციის გამო და აღნიშნეს, რომ ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მმართველ პარტიას დაეკისრებოდა.<sup>72</sup>

საჭიროების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელა 19-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის, საიამაც.<sup>73</sup>

<sup>63</sup> „ხატია დეკანოიძის შეფასებით, ირაკლი ღარიბაშვილმა აბსურდული, სამარცხვინო და საზარელი განცხადება გააკეთა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681053>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>64</sup> „ირაკლი ღარიბაშვილი - შიმშილობის დეფინიცია კანონმდებლობით არის განსაზღვრული და სწორედ ამაზე მქონდა საუბარი - ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681119>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>65</sup> „ადვოკატები მიხეილ სააკაშვილის მრავალპროფილურ სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას ითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/58821>, განახლებულია: 15.11.2021; „ირაკლი ღარიბაშვილი - შიმშილობის დეფინიცია კანონმდებლობით არის განსაზღვრული და სწორედ ამაზე მქონდა საუბარი - ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680162>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>66</sup> „ღარიბაშვილის თქმით, გამორიცხულია სააკაშვილის გადაყვანა სამოქალაქო საავადმყოფოში“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/58831>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>67</sup> „რატი ბრეგაძე - მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზის მიზნით, შეიქმნა ექიმთა ჯგუფი, რომლის ჩართულობა დამოკიდებული იქნება თავად სააკაშვილის თანხმობაზე“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2021 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/rati-bregadze>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>68</sup> „საკაშვილის მკურნალობის ადგილის საკითხი კვლავაც დაპირისპირების საგანია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/450011>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> „ევროპის სახალხო პარტია, კონსერვატორ-რეფორმატორები სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/450663>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> განცხადებას ხელს აწერენ: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC); ღია საზოგადოების ფონდი (OSGF); დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი (IDSD); ადამიანის უფლებების ცენტრი (HRC); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR);



ორგანიზაციებმა ხელისუფლებას მოუწოდეს საკითხის გადაწყვეტისას ეხელმძღვანელა არა პოლიტიკური მიზანშეწონილობის, არამედ „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების უფლების დაცვის მაღალი სტანდარტით“.<sup>74</sup> განცხადებაში აღნიშნულია, რომ გლდანის №18 ციხის საავადმყოფო, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, არ შეესაბამებოდა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.<sup>75</sup> ორგანიზაციების აზრით, მმართველ პარტიას გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაეთვალისწინებინა ექიმების და სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები და უნდა დაეზღვია პატიმრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ნინაალმდეგ მიმართული ყველა რისკი.<sup>76</sup>

## II. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია

14 ოქტომბერს თბილისის ცენტრში ათასობით ადამიანი შეიკრიბა მიხეილ სააკაშვილის საპატიმროდან გათავისუფლების მოთხოვნით.<sup>77</sup> საპროტესტო აქციას მონაწილეები სხვადასხვა რეგიონიდანაც შემოუერთდნენ, რომლებსაც გზად ზოგიერთ ქალაქში ცოცხებით შეიარაღებული, სავარაუდოდ, სახელმწიფო მოხელეები დახვდნენ.<sup>78</sup> აქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას გამოსვლით დასრულდა, რომელმაც ხაზი გაუსვა სააკაშვილის „თავდადებას“ და აღნიშნა, რომ მისმა ქმედებებმა „რეჟიმი გაბზარა“.<sup>79</sup> მიხეილ სააკაშვილმა თავის ადვოკატებს გადასცა საზოგადოებისთვის წერილობითი მიმართვა, რომელშიც განაცხადა, რომ 14 ოქტომბრის აქციამ კიდევ უფრო დაარწმუნა ის არჩევნებში ოპოზიციის წარმატებაში.<sup>80</sup> ყოფილი პრეზიდენტის თქმით, მისი თავისუფლების საკითხი დამოკიდებული იყო მოსახლეობის ყოველდღიურ ორგანიზებაზე.<sup>81</sup>

27 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ თავის მხარდამჭერ აქციაზე, რომელიც დედაქალაქის ცენტრში გამართა, რეგიონებიდან ათობით ათასი ადამიანი შეიკრიბა.<sup>82</sup> აქციის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მმართველმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამართული მასშტაბური საპროტესტო მსვლელობის შემდეგ მიიღო.<sup>83</sup> „ქართული ოცნების“ აქციაზე ძირითადი

---

ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC); მედიის განვითარების ფონდი (MDF); კვლევითი ჟურნალისტიკის და ეკონომიკური ანალიზის ცენტრი; საზოგადოება და ბანკები; საფარი; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI); ცენტრი „ემპათია“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC); ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG); საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS); უფლებები საქართველო; საქართველოს ატლანტიკური საბჭო. იხ. „ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციები სრულად უნდა გაითვალისწინოს“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ვებგვერდი, 2021 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/ge/news/statement>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> „მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით თბილისში ფართომასშტაბიანი აქცია მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/447962>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> „მიხეილ სააკაშვილი - გუშინდელმა დღემ დამარწმუნა, რომ არჩევნებსაც მოვიგებთ და მეც თავისუფალი ვიქნები - საჭიროა ყოველდღიური აქციები, ასევე, მივმართავ ემიგრანტებს, თვის ბოლოსთვის 1 კვირით მაინც ჩამოდი“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/678972>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> „როლების გაცვლა“ 2012-2021 წლების სარკეში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31532490.html>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>83</sup> იქვე.

დრო პარტიის ლიდერებმა წინა ხელისუფლებაზე ლაპარაკს დაუთმეს.<sup>84</sup> ყრილობა საქართველოს ჰიმნით დაიწყო და ერთ საათში დასრულდა.<sup>85</sup>

22-24 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურის წინ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი რამდენიმე რეგიონს ესტუმრა.<sup>86</sup> ვიზიტის დროს მან ოპოზიციის კანდიდატების გამარჯვების შემთხვევაში დაძაბულობის შესაძლო საფრთხეებზე ისაუბრა.<sup>87</sup> პრემიერმა თავის გამოსვლებში საზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციის გამარჯვება ბევრ მუნიციპალიტეტში მმართველი პარტიისთვის „შემაფერხებელი ბარიერი“ და პროექტების განხორციელებისთვის „ნაკლები მოტივაცია“ იქნებოდა.<sup>88</sup>

### III. ნიკა მელიას ჩრდილოვანი კაბინეტი

20 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ და დედაქალაქის მერობის კანდიდატმა, ნიკა მელიამ საზოგადოებას დედაქალაქის კოალიციური მთავრობის, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის და თბილისის რაიონების გამგებლობის კანდიდატები წარუდგინა.<sup>89</sup> წარმოდგენილ პირებს შორის იყვნენ „ლელოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“, „დროას“, „ევროპული საქართველოსა“ და „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები.<sup>90</sup>

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ ნიკა მელიას ოპოზიციისგან დაკომპლექტებულ კაბინეტს „პოლიტიკური ბლეფი“ უწოდა და თქვა, რომ მათი უმეტესობა „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი იყო.<sup>91</sup>

### IV. საპროტესტო აქციები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ

31 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის მომდევნო დღეს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა.<sup>92</sup> აქციის მონაწილეები არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> „ქართული ოცნების აქცია ერთ საათში დასრულდა“, საინფორმაციო პორტალი „On.ge“, 2021 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://on.ge/story/92250>, განახლებულია: 19.10.2021.

<sup>86</sup> ვიზიტის ფარგლებში პრემიერი ლარიბაშვილი და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე იმ 20-ვე მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ, რომლებშიც 30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტურები დაინიშნა. ესენია: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, თელავი, თიანეთი, ქარელი, საშური, ცაგერი, ბაღდათი, წყალტუბო, ოზურგეთი, სენაკი, მარტვილი, ხობი, ზუგდიდი, ნალენჯიხა, ჩხორონწყუ, ხელვაჩაური. იხ. „პრემიერი წინასაარჩევნოდ სამეგრელოს სტუმრობს და ოპოზიციას უტევს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 22 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/449656>, განახლებულია: 15.11.2021; „პრემიერი ოპოზიციის კანდიდატების გამარჯვების შემთხვევაში დაძაბულობის საფრთხეებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/450146>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>87</sup> „პრემიერი ოპოზიციის კანდიდატების გამარჯვების შემთხვევაში დაძაბულობის საფრთხეებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/450146>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> „ნიკა მელიამ დედაქალაქის მთავრობის ჩრდილოვანი კაბინეტი წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/449242>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> „კახა კალაძე - ნიკა მელიას ჩრდილოვანი კაბინეტი არის პოლიტიკური ბლეფი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/kakha-kaladze>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>92</sup> „პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქცია დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681473>, განახლებულია: 15.11.2021.

და ხელისუფლებას მის გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.<sup>93</sup> საპროტესტო აქციაზე ოპოზიციის წარმომადგენლები სიტყვით გამოვიდნენ. პარტია „დროას“ ლიდერმა ელენე ხომტარიამ განაცხადა, რომ ოპოზიცია არ შეეგუებოდა უსამართლობას და სულ მალე ისინი მოსახლეობას საერთო გეგმას გააცნობდნენ.<sup>94</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ სხვადასხვა ქალაქში მშვიდობიანი აქტივობა დააანონსა და აღნიშნა, რომ 7 ნოემბერს დედაქალაქის ცენტრში მორიგი ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართებოდა.<sup>95</sup>

## V. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასებები

1 ოქტომბერს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა არჩევნების წინ სიტუაციის დაძაბვისა და არეულობისთვის როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციაც დაადანაშაულა.<sup>96</sup> მისი თქმით, ეს უკანასკნელი არ ფიქრობდა სამართლიან არჩევნებზე, ვინაიდან ის სააკაშვილის ჩამოსვლით სპეკულირებდა.<sup>97</sup> გარდა ამისა, ამ საკითხზე კომენტარები „ქართული ოცნების“ ნაცვლად სახელმწიფო ორგანოებს უნდა გაეკეთებინათ.<sup>98</sup>

სენატის ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტის დემოკრატიკა თავმჯდომარემ, ჯინ შაჰინმა და რესპუბლიკელმა წევრმა, სენატორმა რონ ჯონსონმა პოლიტიკურ პარტიებს მშვიდ გარემოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდეს.<sup>99</sup> მათ აღნიშნეს, რომ არსებობდა ცნობები ხელისუფლების მხრიდან კანდიდატების დაშინებასთან დაკავშირებით.<sup>100</sup> სენატორებმა ქართველი ხალხის მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა გამოხატეს და განაცხადეს, რომ თუ ქვეყანა ვერ შეძლებდა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, ის ვერ იხილავდა პროგრესს, რომელიც დასავლეთთან უფრო დაახლოებდა.<sup>101</sup>

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეჯამების შემდგომ ცნობილი გახდა, რომ მერების არჩევნების მეორე ტური გაიმართებოდა 30 ოქტომბერს 5 თვითმმართველ ქალაქში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში, ასევე 15 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.<sup>102</sup> გარდა ამისა, მეორე ტური ჩატარდებოდა თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში 42 მაჟორიტარული მანდატისთვის.<sup>103</sup>

ეუთო/ოდირის შეფასებით არჩევნების პირველი და მეორე ტური ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, თუმცა უწყვეტმა პოლარიზაციამ და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებამ პროცესზე უარყოფითად იმოქმედა.<sup>104</sup> ორგანიზაციის განცხადებას დაეთანხმა აშშ-ის საელჩო და

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> „ელენე ხომტარია - არ შევეგუებით იმ უსამართლობას, რომელიც მოგვახვიეს თავს, არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ ივანიშვილის მიერ დაწერილი ბიულეტენებით“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681477>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>95</sup> „ოპოზიცია 7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე საპროტესტო აქციას გამართავს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681479>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>96</sup> „სალომე ზურაბიშვილი არეულობის თავიდან აცილების მნიშვნელობაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/444845>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> „ჯინ შაჰინი - ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ საქართველოში, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში, გამარჯვებული ძალაუფლებას ისე აიღებს, რომ ოპონენტების წინააღმდეგ არ იმოქმედებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/676627>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> „ცესკომ 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგები შეაჯამა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/448354>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა



დამატებით აღნიშნა, რომ პროცესს ახასიათებდა „ფართოდ გავრცელებული და განმეორებითი საჩივრებით დაშინე[ბა], ხმების მოსყიდვ[ა], კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლა[ა]“<sup>105</sup> და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.<sup>106</sup>

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ევროპის სახალხო პარტიამ წუხილი გამოთქვა დემოკრატიული სტანდარტების კლებასთან დაკავშირებით.<sup>107</sup> პარტიის აზრით, არსებობდა უთანასწორო საასპარეზო პირობები და ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსისა და სიძულვილის ენის გამოყენებას.<sup>108</sup> განცხადებაში აგრეთვე აღინიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტის „პოლიტიკური დევნა“ კიდევ უფრო აღრმავებდა პოლარიზაციას.<sup>109</sup> აშშ-ის სენატორმა ჯიმ რიშმა 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით იმედგაცრუება გამოხატა და განაცხადა, რომ ის დრამატულად განსხვავდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან.<sup>110</sup> მისი აზრით, ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა ეუთო/ოდირის შეფასება საარჩევნო პერიოდში ძალადობასთან და ოპოზიციის არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებასთან დაკავშირებით.<sup>111</sup> პირველი ტურის შემდეგ ხელისუფლებას ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესრულებისკენ მოუწოდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამაც.<sup>112</sup> ევროკავშირმა ხაზი გაუსვა საარჩევნო რეფორმების მნიშვნელობას და პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო პროცესში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმოფხვრისკენ მოუწოდა.<sup>113</sup> სამმა ევროპარლამენტარმა<sup>114</sup> ერთობლივი განცხადებით მსგავსი გზავნილები გააკეთა.<sup>115</sup> მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღე კარგად იყო ადმინისტრირებული, წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა პოლარიზაციით, მედიაზე ძალადობით და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებით.<sup>116</sup> მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 46.6% აიღო, რომელიც 19 აპრილის შეთანხმებაში რიგგარეშე არჩევნების დანიშნისთვის საჭირო 43%-იან ზღვარს აღემატებოდა.<sup>117</sup>

ევროპის საბჭოს კონგრესმა, რომელიც 2 ოქტომბრის არჩევნებს აკვირდებოდა, მიუთითა, რომ

---

და დასკვნების შესახებ, ეუთოს ვებგვერდი, 2021 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: [https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477\\_2.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477_2.pdf), განახლებულია: 15.11.2021; საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, ეუთოს ვებგვერდი, 2021 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: [https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719_0.pdf), განახლებულია: 15.11.2021.

<sup>105</sup> „აშშ-ის საელჩოს განცხადება 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების შესახებ“, აშშ-ის საელჩოს ვებგვერდი, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-2021>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> „Recent elections in Georgia have raised our concerns over the state of democracy and freedom in the country“, European People's Party's website, 6 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.epp.eu/news/recent-elections-in-georgia>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> იქვე.

<sup>110</sup> „Risch on Recent Elections in Georgia“, United States Senate Committee on Foreign Relations' website, 4 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.foreign.senate.gov/RvojGSTwM>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> „საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებთან კოორდინაციით, 2021 წლის 3 ოქტომბერს, ადგილობრივი არჩევნების პირველი ტურის შემდეგ კომენტარს აქვეყნებს“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ვებგვერდი, 2021 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/105036/>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>113</sup> „ევროკავშირი 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შესახებ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/445868>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>114</sup> მარინა კალიურანდი, სვენ მიქსერი, ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადელი. იხ. „Joint statement by: the Chair of the Delegation for relations with the South Caucasus, MEP Marina KALJURAND, the European Parliament's Standing Rapporteur on Georgia, MEP Sven MIKSER, and the European Parliament's lead Member for democracy support activities in Georgia, MEP Viola von CRAMON-TAUBADEL, on the first round of the local elections in Georgia“, European Parliament, 5 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.europarl.europa.eu/cmsdata>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> იქვე.



2021 წლის არჩევნები ადგილობრივი დემოკრატიისთვის ხელიდან გაშვებული შანსი იყო.<sup>118</sup> კონგრესის შეფასებით, არათანაბარი სააქტიურობა პირობები, ამომრჩეველზე ზეწოლა და ხმების მოსყიდვა მნიშვნელოვან გამოწვევებად რჩებოდა.<sup>119</sup> მსგავსი განცხადება გააკეთა არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპულმა ქსელმაც (ENEMO). ENEMO-ს აზრით, „ქართული ოცნების“ მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებამ საარჩევნო ასპარეზზე ოპოზიცია მმართველ პარტიასთან შედარებით არათანაბარ პირობებში ჩააყენა.<sup>120</sup> გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, წინასაარჩევნო გარემო მაღალი პოლარიზაციით გამოირჩეოდა.<sup>121</sup>

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ალბერტ იონსონმა აღნიშნა, რომ არჩევნების მეორე ტურზე სახელმწიფო თანამდებობებისა და ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენებამ დიდი გავლენა იქონია საარჩევნო გარემოზე, კამპანიაზე და პოლიტიკურ დისკურსზეც.<sup>122</sup> გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგების მიღება ფუნდამენტურ დემოკრატიულ ვალდებულებას წარმოადგენდა.<sup>123</sup> გარდა ამისა, მისი აზრით, არჩევნები, ძირითადად, კარგად იყო ორგანიზებული, თუმცა დაფიქსირდა ამომრჩეველზე ზეწოლისა და ძალადობის ცალკეული ინციდენტები.<sup>124</sup> ევროკავშირის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ მეორე ტურში საერთაშორისო დამკვირვებლების მკაფიო შეფასების მიუხედავად, ძირითადი ხარვეზების აღმოსაფხვრელად არსებითი ნაბიჯები არ გადადგმულა.<sup>125</sup> ამ განცხადებით გამოეხმაურნენ პრემიერის შენიშვნასაც, რომ ხელისუფლება არ ითანამშრომლებდა საკრებულოებთან თუ იქ ოპოზიციონერი უმრავლესობა იქნებოდა.<sup>126</sup> ამასთან დაკავშირებით ევროკავშირმა მიუთითა, რომ ეს შემოფოტებას იწვევდა, ვინაიდან იგი პლურალიზმის ლიმიტირებისკენ და ამომრჩევლის ნების შეზღუდვისკენ იყო მიმართული.<sup>127</sup>

<sup>118</sup> „Vote on 2 October was a missed opportunity for local democracy in Georgia, says Head of Congress delegation“, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/vote-on-2-october>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> „ENEMO-ს წარმომადგენელი - თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის კამპანიაში, რამაც უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა მმართველი პარტია და ბუნდოვანი გახდა ხაზი სახელმწიფოსა და პარტიას შორის“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677257>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> „ალბერტ იონსონი - ჩვენს დამკვირვებელს „ქართული ოცნების“ აქციაზე პასუხობდნენ, რომ იყვნენ საჯარო მოხელეები, რომლებიც ნახალისებულები იყვნენ და ჰქონდათ მიღებული ინსტრუქციები უფროსებისგან, რომ წასულიყვნენ შეკრებაზე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681456>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>123</sup> „გერმანიის ელჩი - ფუნდამენტური დემოკრატიული მოვალეობაა, რომ არჩევნების შედეგები მიღებულ იქნას და დემოკრატიული პროცესის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681446>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>124</sup> „გერმანიის ელჩი - თავად არჩევნების დღე კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ იყო კონკრეტული ინციდენტები, ზეწოლა ამომრჩეველზე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681449>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>125</sup> „ევროკავშირის საელჩო - ხარვეზების აღმოსაფხვრელად ნაბიჯები არ გადაიდგა, პირიქით, გაჩნდა ახალი ხარვეზები, განსაკუთრებით ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების და ძალადობრივი რიტორიკის კუთხით, რამაც პოლარიზაცია გაამწვავა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/681486>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> იქვე.

## VI. საიას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მე-3 შუალედური ანგარიში და საარჩევნო პერიოდის შეფასება

28 ოქტომბერს საიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მე-3 შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.<sup>128</sup> მან 25 სექტემბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი დაფარა.<sup>129</sup>

ანგარიშის მიხედვით, პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვისა და მოქალაქეების ნების გამოვლენის წინააღმდეგ მიმართული ფაქტები.<sup>130</sup> ორგანიზაციამ დაადგინა, რომ პრობლემად რჩებოდა პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები როგორც 2 ოქტომბრამდე, ისე მას შემდეგაც.<sup>131</sup>

არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში საიამ გამოავლინა პარტიებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელშეშლის ორი შემთხვევა.<sup>132</sup> გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, ხშირი იყო როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტები.<sup>133</sup>

საიას შეფასებით, როგორც პირველი, ისე მეორე ტურის პერიოდი დაძაბულობით გამოირჩეოდა.<sup>134</sup> ხშირი იყო პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებებიც როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის წინააღმდეგ.<sup>135</sup> ორგანიზაციის აზრით, მნიშვნელოვანია შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა დაუყოვნებლად დაიწყო მსგავსი ფაქტების გამოძიების პროცესი და აღკვეთონ მომავალი დარღვევები.

საია განაგრძობს 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პროცესების მონიტორინგს.

## VII. ეუთო/ოდირის დასკვნები 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ

ეუთო/ოდირმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ორი დასკვნა გამოაქვეყნა.

2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ წინასწარი დასკვნის თანახმად, პროცესის კარგად ორგანიზებულობის მიუხედავად, ის გაჭიანურებული იყო და მიმდინარეობდა პოლიტიკური კრიზისისა და პოლარიზაციის ფონზე.<sup>136</sup> ანგარიშის თანახმად, საარჩევნო კამპანიის დროს ხშირი იყო ამომრჩევლისა და კანდიდატების დაშინების, ხმების მოსყიდვის, ფიზიკური თუ სიტყვიერი

<sup>128</sup> „საიამ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მე-3 შუალედური ანგარიში მოამზადა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saiam-2021>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იქვე.

<sup>131</sup> იქვე.

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> იქვე.

<sup>134</sup> „საია - როგორც პირველი ტურის ბოლო 1 კვირა, ასევე მეორე ტურის პერიოდი 24 ოქტომბრის ჩათვლით, დაძაბულობით გამოირჩეოდა - იყო ძალადობრივი ქმედებები, რომელიც სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/680809>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> საქართველო-მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, ეუთოს ვებგვერდი.

ძალადობის ფაქტები.<sup>137</sup> გარდა ამისა, საარჩევნო დაფინანსებასა და რესურსებს შორის აშკარა სხვაობამ ხელი შეუწყო მხარეების უთანასწორო სააქტიურო პირობებში ჩაყენებას.<sup>138</sup>

ორგანიზაციამ ასევე შეაფასა საარჩევნო გარემოც. დასკვნის მიხედვით, კამპანია შეზღუდულად, მაგრამ კონკურენტულ გარემოში წარიმართა.<sup>139</sup> მიუხედავად ამისა, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად ცალკეული პირების წინააღმდეგ ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის შემთხვევებმა მოიმატა.<sup>140</sup> ანგარიშში ნეგატიურად შეფასდა ეროვნულ საკითხებზე გადაჭარბებული პოლიტიკური დისკუსიის მიერ ადგილობრივი პრობლემების გადაფარვა.<sup>141</sup>

დასკვნის მიხედვით, მმართველმა პარტიამ წამოიწყო და დააანონსა რამდენიმე სოციალური და ეკონომიკური პროექტი არჩევნების თარიღის დანიშვნის შემდეგ, რაც კანონით იკრძალება.<sup>142</sup> თუმცა პარტიის განმარტებით, ამ პროექტების განხორციელება თარიღის დანიშვნამდე უკვე დაწყებული იყო.<sup>143</sup> ეუთო/ოდირის აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა იმ კანონის სულისკვეთებას, რომელიც საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას კრძალავს.<sup>144</sup> გარდა ამისა, ამ შემთხვევამ მმართველი პარტია ამომრჩევლის თვალში უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა.<sup>145</sup>

ორგანიზაციამ ასევე დეტალურად განიხილა მედიაგარემო საარჩევნო პერიოდში.<sup>146</sup> მისი აზრით, ის მეტისმეტად პოლარიზებული იყო, რაც სასახვდამმართველ პარტიას და ოპოზიციას შორის არსებულ განხეთქილებას.<sup>147</sup> ამასთან, წინასწარჩევნო პერიოდში მედიის მიერ პოლიტიკურ სუბიექტთა გაშუქება სელექციურობით ხასიათდებოდა და ძირითადად ფოკუსირებული იყო სამ პარტიაზე: „ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „გახარია - საქართველოსთვის“.<sup>148</sup>

ეუთო/ოდირმა წინასწარი დასკვნები გამოაქვეყნა 30 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებითაც.<sup>149</sup> ანგარიშმა, პროცესის ადმინისტრირება კვლავ დადებითად შეაფასა, თუმცა აღნიშნა, რომ უწყვეტმა პოლარიზაციამ და ნეგატიურმა რიტორიკამ პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.<sup>150</sup> პირველი ტურის მსგავსად, მეორე ტურშიც შენარჩუნდა ამომრჩევლის დაშინებისა და ზენოლის შესახებ ბრალდებები.<sup>151</sup> აგრეთვე, პრობლემად დარჩა ხელისუფლებაში ყოფნით გამოწვეული უპირატესობა ოპოზიციასთან შედარებით.<sup>152</sup> მედიაგარემო კვლავ პოლარიზებული იყო, ვინაიდან ბევრი ტელევიზია მიკერძოებულ დამოკიდებულებას ავლენდა ოპოზიციის ან მმართველი პარტიის მიმართ.<sup>153</sup>

ანგარიშის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამ და მისმა დაკავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ დისკუსიასზე და პარტიათა შორის პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა.<sup>154</sup>

ორგანიზაციამ გააკრიტიკა საარჩევნო რეფორმით გათვალისწინებული შემთხვევითი

<sup>137</sup> იქვე, გვ. 4, 14, 19.

<sup>138</sup> იქვე, გვ. 3-4, 20.

<sup>139</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>141</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>142</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> იქვე.

<sup>145</sup> იქვე.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>149</sup> საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, ეუთოს ვებგვერდი.

<sup>150</sup> იქვე.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> იქვე, გვ. 5.

სავალდებულო გადათვლების პროცედურები.<sup>155</sup> მისი აზრით, არ არსებობდა პროცესის შესახებ კონკრეტული რეგულაციები, რამაც ოლქებს შორის არათანმიმდევრული პრაქტიკა შექმნა.<sup>156</sup> მაგალითად, ზოგმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მხოლოდ ბათილი ბიულეტენები, ხელმოწერები ან კანდიდატის მიერ მიღებული ხმები დათვალა მაშინ, როდესაც სხვა ოლქებმა დამატებით გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობაც გადათვალეს.<sup>157</sup>

ეუთო/ოდირმა საარჩევნო დავებთან დაკავშირებული პრაქტიკა დადებითად შეაფასა და მიუთითა, რომ საჩივრები მოცემულ ვადებში, ღია სხდომებზე განიხილეს, რა დროსაც მომჩივანს ჰქონდა საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა.<sup>158</sup>

დასკვნის მიხედვით, საარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა გამწვავებული ნეგატიური რიტორიკით და თავდასხმებით.<sup>159</sup> ორმა დიდმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეინარჩუნა ეროვნულ თემაზე გადაჭარბებული ფოკუსი და ერთმანეთის წინააღმდეგ ნეგატიური კამპანია.<sup>160</sup> ანგარიშში ნეგატიურად შეაფასეს ხელისუფლების განცხადება, რომ ის მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოპოზიცია გაიმარჯვებდა, მოკლებული იქნებოდა მხარდაჭერას ცენტრალური ხელისუფლებისგან.<sup>161</sup>

ეუთო/ოდირის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აიკრძალა საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის რადიუსში შეკრებები, მონახულებული უბნების 29%-ში შეიმჩნეოდა პირთა ჯგუფების დამაშინებელი ყოფნა უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე.<sup>162</sup> ზოგ უბანში მიმდინარეობდა ამომრჩეველთა აღრიცხვა.<sup>163</sup> გარდა ამისა, მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია ორი ძირითადი პარტიის მხარდამჭერებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების შესახებ.<sup>164</sup>

## VIII. ENEMO-ს განცხადება 2021 წლის არჩევნების წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

4 ოქტომბერს ENEMO-მ გამოაქვეყნა განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით.<sup>165</sup> განცხადების მიხედვით, არჩევნები ჩატარდა კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>166</sup> თუმცა, საარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა პოლარიზაციით და ძირითადი ყურადღება პარტიების მხრიდან ეთმობოდა საერთო ეროვნული პოლიტიკური თემების განხილვას, რაც ხელს უშლიდა ადგილობრივი პრობლემების შესახებ დისკუსიის წამოჭრას.<sup>167</sup>

ნიშანდობლივი იყო წინასწარჩევნო პერიოდში დაშინებისა და ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტები,<sup>168</sup> მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგაც.<sup>169</sup>

<sup>155</sup> იქვე, გვ. 6-7.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> იქვე, გვ. 9-10.

<sup>159</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 13-14.

<sup>161</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> იქვე.

<sup>165</sup> 2 ოქტომბერი, 2021 წელი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველო, განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENEMO), 2021 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: [http://enemo.eu/uploads/file-manager/-\\_\\_2021.pdf](http://enemo.eu/uploads/file-manager/-__2021.pdf), განახლებულია: 15.11.2021.

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>169</sup> იქვე, გვ. 20.



ორგანიზაციის აზრით, საარჩევნო გარემო მეტწილად მშვიდი იყო.<sup>170</sup> მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ლოკაციაზე, განსაკუთრებით სოფლებში, ხშირი იყო პარტიული აქტივობები, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდა ამომრჩევლის ნებაზე.<sup>171</sup>

ENEMO-ს განცხადებაში ასევე შეფასებულია მედიაგარემოც. დასკვნის მიხედვით, საქართველოში ამ მხრივ პლურალისტური გარემოს მიუხედავად, მედია გამოირჩეოდა პოლარიზაციით და დაუცველი იყო პოლიტიკური ინტერესებისგან.<sup>172</sup> ვინაიდან ხშირი იყო მედიის წინააღმდეგ მუქარა და ზენოლა, ENEMO-ს მიხედვით, პარტიებმა ვერ ჩაატარეს პოზიტიური პოლიტიკური წინასაარჩევნო კამპანია.<sup>173</sup> გარდა ამისა, მედია სამუალებები ნაკლებად აკეთებდნენ სიღრმისეულ მედია რეპორტაჟებსა და ანალიზს, რაც არ ტოვებდა სივრცეს ხარისხიანი პოლიტიკური დებატებისთვის.<sup>174</sup>

არჩევნების დღე ორგანიზაციამ ძირითადად დადებითად შეაფასა. მისი აზრით, დაცული იყო კანონმდებლობა და პროცედურები.<sup>175</sup> თუმცა, დაფიქსირდა ხმის ფარულობის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა, რაც განპირობებული იყო ხმის მიცემის კაბინების განლაგებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახლოს დგომით ან ამომრჩევლის მიერ ბიულეტენებზე სურათების გადაღებით.<sup>176</sup> გარდა ამისა, გამოვლინდა ხმის რამდენჯერმე მიცემის მცდელობაც.<sup>177</sup>

ENEMO-ს განცხადებაში აგრეთვე საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა გენდერული წარმომადგენლობა, კამპანიის ფინანსები, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია, საარჩევნო ადმინისტრაცია და სხვა.

## IX. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ანგარიში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ

28 ოქტომბერს IRI-მ 2 ოქტომბრის არჩევნებისა და წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზეა საუბარი, როგორცაა საარჩევნო ადმინისტრაცია, კამპანიის ფინანსები, მედია, საარჩევნო რეფორმები, საარჩევნო გარემო და სხვა.

ორგანიზაციის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გამოვლინდა ძალადობის, დაშინების, ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე ზენოლის, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შემთხვევები.<sup>178</sup> ანგარიშის თანახმად, არჩევნების დღეს ზენოლისა და დაშინების ხერხებს იყენებდნენ პარტიის აქტივისტები და კოორდინატორები მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგაც.<sup>179</sup>

ორგანიზაციის აზრით, არჩევნების დღემ კანონმდებლობის დაცვით, ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა.<sup>180</sup> თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიების პრაქტიკა არათანმიმდევრული იყო ქვეყნის მასშტაბით.<sup>181</sup> დასკვნის მიხედვით, ზოგიერთი კომისია არ ფლობდა საკმარის ცოდნასა და

<sup>170</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>173</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>174</sup> იქვე.

<sup>175</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>176</sup> იქვე.

<sup>177</sup> იქვე.

<sup>178</sup> Election Report of the IRI Technical Election Assessment Mission to Georgia, International Republican Institute, 28 October 2021, გვ. 10, ხელმისაწვდომია: [https://www.iri.org/report\\_georgia\\_2021.pdf](https://www.iri.org/report_georgia_2021.pdf), განახლებულია: 15.11.2021.

<sup>179</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>180</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>181</sup> იქვე, გვ. 17.

კომპეტენციას არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით.<sup>182</sup>

რაც შეეხება საარჩევნო დავებს, ანგარიშმა პოზიტიურად შეაფასა ამ მხრივ განხორციელებული საარჩევნო ცვლილებები. კერძოდ, ორგანიზაციის აზრით, უბნების 10%-ის სავალდებულო გადათვლის მექანიზმმა გაზარდა საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობის ხარისხი.<sup>183</sup> 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრების მხოლოდ მცირე რაოდენობა ცნეს დაუშვებლად პროცედურული ხარვეზის გამო.<sup>184</sup>

IRI-მ შეაფასა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებაც. ანგარიშის მიხედვით, ყოფილი პრეზიდენტის ჩამოსვლამ პატარა ოპოზიციური პარტიების მარგინალიზაცია გამოიწვია და გაზარდა პოლარიზაცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.<sup>185</sup>

## X. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

### 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური

2021 წლის არჩევნების პირველი ტურის შესახებ ერთობლივი შემადგამებელი ანგარიში გამოაქვეყნეს საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ.<sup>186</sup>

ორგანიზაციებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა წინასაარჩევნო კამპანია, საარჩევნო ადმინისტრაცია, უწყებათაშორისი კომისია, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, სოციალური მედიის საარჩევნო მიზნებით გამოყენება და მედიაგარემო.<sup>187</sup>

ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო გარემო იყო მეტნაკლებად კონკურენტული, თუმცა მმართველი პარტია ადმინისტრაციული რესურსების მობილიზაციის გამო სარგებლობდა უპირატესობით.<sup>188</sup> გარდა ამისა, ამ პერიოდში გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნით ზენოლის, მუქარის, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების ან წასვლის იძულების ფაქტები და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არაეფექტიანი გამოძიების შემთხვევები.<sup>189</sup>

ორგანიზაციების აზრით, წაშლილი იყო ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის და ადგილი ჰქონდა საარჩევნოდ მოტივირებული არაერთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამისა და პროექტის მმართველი პარტიის მიერ ინიცირებას.<sup>190</sup>

„მრავალეროვანმა საქართველომ“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა.<sup>191</sup>

<sup>182</sup> იქვე.

<sup>183</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>184</sup> იქვე.

<sup>185</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>186</sup> „საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/sakar>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>187</sup> იქვე.

<sup>188</sup> იქვე.

<sup>189</sup> იქვე.

<sup>190</sup> იქვე.

<sup>191</sup> „მრავალეროვანი საქართველოს“ ინფორმაციით, 21 საარჩევნო ოლქზე, სადაც სადამკვირვებლო მისიას ახორციელებდნენ, არჩევნები მშვიდ გარემოში წარიმართა, გამონაკლის წარმოადგენდა მარნეულის საარჩევნო ოლქის რიგი უბნები“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/677213>, განახლებულია: 15.11.2021.

## 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ არჩევნების მეორე ტურზე გამოავლინა არაერთი დარღვევა, როგორც აფიზიკური და პირისპირებასა არჩევნო უზნებების გარეთ, აქტივისტებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა და ფიზიკური ანგარიშსწორება, დამკვირვებლების ხელის შეშლა, საარჩევნო უბანზე მოსული ამომრჩევლის აღნუსხვა.<sup>192</sup> გარდა ამისა, ორგანიზაციის განცხადებით, ტენდენციად გამოვლინდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლების მიერ ჩადენილი დარღვევები,<sup>193</sup> რომლებიც მოიცავდა ერთი ორგანიზაციის რამდენიმე დამკვირვებლის ერთსა და იმავე უბანზე ერთდროულად ყოფნას, უბანზე ფულის დარიგების მცდელობას და სხვა.<sup>194</sup> შეფასების თანახმად, შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესი ხშირად ყოვნდებოდა და ზოგიერთ საარჩევნო უბანზე იყო დავა ისეთი ბიულეტენების გაბათილება-არგაბათილების საკითხზე, რომლებშიც აშკარად იყო გამოხატული ამომრჩევლის ნება.<sup>195</sup>

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, არჩევნების მეორე ტური, ძირითადად, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად წარიმართა.<sup>196</sup> ამის მიუხედავად, ხშირი იყო საარჩევნო უბნებთან პირთა შეკრება, ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის, მობილიზებისა და აღრიცხვის ფაქტები, რასაც, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ამომრჩევლის ნებაზე.<sup>197</sup> კენჭისყრის დღეს ხშირი იყო მარკირების შემონიშნების/გაკეთების პროცედურების დარღვევაც.<sup>198</sup> ორგანიზაციას ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესში ხარვეზები არ დაუფიქსირებია, თუმცა გამოავლინა ბიულეტენების ხშირად მიზანმიმართულად გაბათილების შემთხვევები.<sup>199</sup>

## XI. უწყებათაშორისი კომისიის სხდომები

უწყებათაშორისი კომისია ოქტომბრის განმავლობაში 4-ჯერ (6, 13, 20, 27 ოქტომბერი) შეიკრიბა. საია სხდომებს არ ესწრებოდა, თუმცა კომისიის საქმიანობას დისტანციურად აკვირდებოდა.

კომისიამ წარმოადგინა შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას 8 სხდომის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ.<sup>200</sup> მან, საერთო ჯამში, განიხილა მედიამონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული 112 საკითხი, რომელთაგან 21 შეეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, 9 - სავარაუდო მოსყიდვას, 6 - შესაძლო ძალადობას, 29 - სავარაუდო ზეწოლას/დაშინებას/დევნას/მუქარას, 19 - სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას, 28 - საარჩევნო კანონმდებლობის სხვადასხვა დარღვევას.<sup>201</sup>

საგამოძიებო უწყებებმა და ცესკომ წარმოადგინეს შესაბამისი უწყებების სტატისტიკური მონაცემები.<sup>202</sup> კენჭისყრის დღეს შსს-მ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოძიება დაიწყო 16 საქმეზე, რომელთაგან 13 შეეხებოდა ძალადობას (დაპირისპირებები უბნებთან).<sup>203</sup>

<sup>192</sup> „საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის დაკვირვების შედეგების შეჯამება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/sakartvelos>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> იქვე.

<sup>195</sup> იქვე.

<sup>196</sup> „არჩევნების დღის შემაჯამებელი შეფასება“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/geo/presrelizebi/ubnis>, განახლებულია: 15.11.2021.

<sup>197</sup> იქვე.

<sup>198</sup> იქვე.

<sup>199</sup> იქვე.

<sup>200</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-9 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZTIIPe>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>201</sup> იქვე.

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> იქვე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კუთხით იდენტიფიცირებულ 200-ზე მეტი შემთხვევიდან უმეტესობა საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მანძილზე შეკრების აკრძალვის წესის დარღვევას ეხებოდა, ზოგიერთი მათგანი საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვის წესის დარღვევას, ხოლო დანარჩენი დარღვევები შედიოდა ცესკოს კომპეტენციაში.<sup>204</sup>

ცესკომაც წარმოადგინა სტატისტიკური ინფორმაცია კენჭისყრის დღის საჩივრების შესახებ.<sup>205</sup> ამ მონაცემების მიხედვით, კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში სულ წარდგენილია 1832 საჩივარი (პოლიტიკური პარტიების - 1233, სადამკვირვებლო ორგანიზაციების - 599). აქედან გადათვლას/ გადასინჯვას შეეხებოდა 951 საჩივარი (პოლიტიკური პარტიების - 741, სადამკვირვებლო ორგანიზაციების - 210).<sup>206</sup> საერთო ჯამში, სადამკვირვებლო ორგანიზაციების საჩივრებიდან დაკმაყოფილდა 97, არ დაკმაყოფილდა 341, განუხილველად დარჩა 42, ადგილზე აღმოიფხვრა 2, გაითხოვეს 3 საჩივარი.<sup>207</sup> ხოლო, შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული საჩივრების შემთხვევაში - 210-დან 20 დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 57, არ დაკმაყოფილდა 114, განუხილველად დარჩა 18 საჩივარი.<sup>208</sup>

გადათვლების ნაწილში, ცესკოს მონაცემებით, 3664 უბნიდან (კოვიდუბნებისა და სხვა გამონაკლისი უბნების გარდა) 811 უბანზე სრულად ან ნაწილობრივ გადათვალეს მონაცემები<sup>209</sup> და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო პროცესზე დაკვირვება.<sup>210</sup>

კომისიამ სხდომებზე განიხილა მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ცალკეული ფაქტები, რომლებიც დაფიქსირდა პირველი და მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში. პირველ ტურამდე აღრიცხული შემთხვევებიდან კომისიამ განიხილა: ოპოზიციური პარტიებისა და უმრავლესობის ბანერების, პლაკატების დაზიანების, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში მოსახლეობისთვის პროდუქტების დარიგების, ზუგდიდში ოპოზიციურად განწყობილი პირებისთვის პირადობების ჩამორთმევის, მარნეულში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის ცემის ფაქტები.<sup>211</sup> რაც შეეხება მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდს, კომისიამ აღწერა შემდეგი შემთხვევები:

- „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატის მიერ შესაძლო აგიტაციის წესების დარღვევა;<sup>212</sup>
- ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ავტომობილის დაზიანება;<sup>213</sup>
- პარტია „საქართველოსთვის“ მაჟორიტარი კანდიდატის შესაძლო დაშინება;<sup>214</sup>
- ისანში მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება;<sup>215</sup>
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლო ხელშეშლა.<sup>216</sup>

<sup>204</sup> იქვე.

<sup>205</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CRfoGo>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>206</sup> იქვე.

<sup>207</sup> იქვე.

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> იქვე.

<sup>210</sup> იქვე.

<sup>211</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-9 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZTIIpe>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>212</sup> იქვე.

<sup>213</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CRfoGo>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>214</sup> იქვე.

<sup>215</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-11 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EPyPQ8>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>216</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-12 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FpDmiY>, განახლებულია: 15.11.2020.



კომისიამ განიხილა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში აგიტაციის წესის დარღვევის ფაქტი, რომელზეც საიამ საჩივარი წარადგინა.<sup>217</sup> ცესკოს წარმომადგენლის განმარტებით, წარმოების შედეგად დადგინდა საარჩევნო კოდექსის ნორმის დარღვევა და შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.<sup>218</sup> ეს საქმე შემდგომი განხილვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს გაეგზავნა. სასამართლომ კახა კუჭავა გაათავისუფლა ჯარიმის გადახდისგან და მას მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა.<sup>219</sup> **საია უარყოფითად აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ამგვარი ლოიალური მიდგომა პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან ჩადენილ აშკარა სამართალდარღვევაზე უარყოფითად აისახება საარჩევნო სამართალდარღვევების პრევენციაზე.**<sup>220</sup>

დღის წესრიგში დადგა ცალკეული სახელისუფლებო ინიციატივებიც, რომლებიც, შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის - ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს. ესენია: მთავრობის ინიციატივა ბიზნესისთვის ჯარიმების ჩამოწერის შესახებ, თბილისის მერიაში წინასაარჩევნოდ დიდი ოდენობით პრემიების გაცემა და თბილისის მერიის სარეზერვო ფონდის 1 მილიონი ლარით გაზრდის ინიციატივა.<sup>221</sup> ამ საკითხებიდან ერთ შემთხვევაში პროკურატურამ ვერ გამოკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები (სარეზერვო ფონდის ზრდა, პრემიების გაცემა), ხოლო სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ბიზნესისთვის ჯარიმების ჩამოწერასთან დაკავშირებით, გამოძიება არ არის დაწყებული, თუმცა მას შეისწავლის პროკურატურა და დაადგენს, იკვეთება თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.<sup>222</sup>

კომისიის სხდომებზე განხილული ფაქტების დიდი უმრავლესობა შეტანილია საიას ანგარიშებში.

---

<sup>217</sup> იქვე.

<sup>218</sup> იქვე.

<sup>219</sup> იქვე.

<sup>220</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის Facebook-ის პოსტი, 2021 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wY6c0v>, განახლებულია: 15.11.2020.

<sup>221</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-11 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EPyPQ8>, განახლებულია: 08.11.2020.

<sup>222</sup> იქვე.